წელიწადი I-ლი შაბათი, 9 ოქტომბერი ფასი 15 მ.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 300 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 „ „ „ . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზედ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 24 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 24

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბრამალ-სხირტლაძის

ხუთშაბათიდან 7 ოქტომბრიდან 1920 წ. იქნება ნაჩვენები ახალი სურათები
**როგორ იხოცებიან ლითონისათვის.**
(საშინელების ბრჭყალებში). დრამა 3 მოქ. განთქმული მსახიობის გედევანოვის და ალვინა ნეისის მონაწილეობით.
დასასრულ **როგორ გაუნდავებდა შურა თოვლს.**
მხიარული კომ. 2 ნაწ.

ანონსი: ორშაბათიდან 11 ოქტომბრიდან იქნება ნაჩვენები ანდრეი კორნელის, დრამა პოლ ბურჟეს რომანიდან 4 ნაწ.

ახლო მომავალში ნაჩვენები იქნება
1) ანნა კარენინა 2. კალიფორნიის **ვ ე ფ ხ ვ ი.**

გაათკეცებული ყურადღება! მზადდება და მალე ვაჩვენებ „აპოლოში“ თანამედროვე კინემატოგრაფიის შედევრს, გრანდიოზულ სურათს 12 განყოფ. და 80 ნაწილათ **ცეცხლის თაყვანისმცემლები.**

ღია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი
**„ტ რ ი უ მ ფ ი“**
ნ. ბროვალ-სხირტლაძის
სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველი ხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი.

ოთხშაბათს 6 ოქტომბრიდან 1920 წელს იქნება ნაჩვენები ახალი მხატვრული სურათი.
**მას იზიდავდა აბობოქრებული ზღვა.**
მხატვრული დრამა 5 ნაწილათ, მოსკოვის მხატვრული თეატრის არტისტის ო. გზოვსკაიას, ვ. გაიდაროვას და ნ. პანოვის მონაწილეობით.

დასასრულ სანახავი სურათი **ხ ო რ ე ბ ი.** მეცნიერული,

გაათკეცებული ყურადღება! მზადდება და მალე ვაჩვენებ „აპოლოში“ თანამედროვე კინემატოგრაფიის შედევრს, გრანდიოზულ სურათს 12 განყოფ. და 80 ნაწილათ
**ც ე ც ხ ლ ი ს თ ა ყ ვ ა ნ ი ს მ ც ე მ ლ ე ბ ი.**

# განცხადება
## სომხეთის რესპუბლიკის
### მოქალაქეთადმი.

საუკუნოებრივი მტერი ჩვენი უხეშად მიიბიჯებს და უტევს ჩვენს სამშობლოს, მრავალ ტანჯულ სომხეთს. მისი განზრახვაა ჩვენი მხეცურად გასრესა და მოსპობა იმ თავისუფალ ცხოვრებისა, რომელიც სისხლით აქვს ხალხს მოპოებული.

სომხის ხალხი და მისი სახელოვანი მხედრობა, მომენტის სერიოზულობის სრული შეგნებით, ყველგან გმირულად ამარცხებს და უმკლავდება მტერს—ოსმალებს.

ქვეყნის სახსნელად და ბარბაროსთა გასადევნად გამოცხადდა სომხეთის მოქალაქეთა მობილიზაცია 35 წლამდე. ყოველ სომეხ მოქალაქის მოვალეობაა, სადაც არ უნდა იყოს ამ დროს, დაუყონებლივ გაემგზავროს სამშობლოში.

მორიგი დღიური ლოზუნგი სომხეთისა: „მამული განსაცდელშია, სუყველა ფრონტზე, ყველაფერი ფრონტისათვის.“

სამშობლოსთვის მრისხანე და საბედისწერო ჟამს, დაე ყველამ მოიხადოს თავისი ვალი ქვეყნისადმი და მომავალ თაობისადმი.

სომხეთის მოქალაქენი ბათომის ოლქიდან მოწოდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ჩასაწერად ბათომის სომხეთის გენერალურ კონსულთან (სმეკალოვის ქ. № 15).

გენერალური კონსული სომხეთისა ბათომისა და მისი ოლქისთვის
**მ. ათაბეგიანი.**

7 ოქტომბერი 1920 წ. ქ. ბათომი.



**გამყრელიძის ცირკი.**
შაბათი 9 ოქტომბერი.
ჭიდაობენ შემდეგი პირები:
მთელი ჩემპიონატის ჭიდაობაზე გამომწვევი, ოსმალეთის გამოჩენილი ჩემპიონი, ჯერ უძლევი
1) კარა იუსუფი — სინდაროვის წინააღმდეგ.
ოსმალეთი რუსეთი.
2) ნიჟეგოროდელი — სტუდენტ
მაკაროვი ვ. უ.-ს წინააღმდეგ.
3) ემელიანოვი — ევროპის ჩემპიონის
მოსკ. ჩემპიონი ზაგარუიკოს წინააღმდეგ.
მონაწილეობს მთელი დასი.
**დღეს გალა-დემოკრატიული საღამოა**
აგრეთვე მონაწილეობს ცნობილი **დარსკი** თავისი მოლაპარაკე დედოფლ ებით.

ორშაბათს 11 ოქტომბერს იაპონელ **ი ა მ ა ს ა კ ი ს** ცნობილი დასის და ფენომენი—ბავშვის პეტიას ბენეფისია, რომელიც თავის ბენეფისის დღეს გამოამჟღავნებს ხარაკირის საიდუმლოს.

## ბათუმი 9 ოქტომბერი.

პურის საკითხი—სურსათის საქმე, საკუთარი მომარაგება, რამდენიმე თვით მაინც თავის კმაყოფა ა, რა უნდა იყოს ქალაქის თვითმართველობის და ოლქის მთავრობის მუდმივ ზრუნვის საგანი.

ვიცით, რომ ცენტრის მთავრობას ერთი მთლიანი სასურსათო პოლიტიკა აქვს რესპუბლიკისთვის, მაგრამ ამ პოლიტიკას განსაკუთრებულ დროში, როცა გამოსავალი გზა არ რჩება და რომ იტყვიან კაცს პური შიაო, ისეთი დღე თენდება, საკუთარი პოლიტიკა უნდა გაუპარალელდეს მთავარი პრინციპის დაურღვევლად.

ქალაქი ბათომი და მისი ოლქი შემოზიდულ სურსათით სცხოვრობს, ახლა ქალაქის სასურსათო ორგანოებში პური თითქმის აღარ არის, ამასთანავე რამდენი სოფელი იხვეწება, რომ სურსათი მოგვაშველეთო!.. მიმწოდებელი ორგანოები, როგორც ვხედავთ ვერ ახერხებენ დროზე ქალაქის და ოლქის პურით უზრუნველყოფას. კანცელიარიულმა ფორმალიზმმა სასურსათო დარგში ერთი კაცის ან ცენტრის შეცყურეობამ შეიძლება ხვალ სიმშილით გაგვითენოს.

ამისათვის საჭიროა ქალაქს და ოლქს თავის საკუთარი სასურსათო პოლიტიკა, დღემდის კი ქალაქს აქვს მხოლოდ მოხელეური სასურსათო განყოფილება, ე. ი. პურს იღებენ და აცხობენ, ახლა უნდა შეიცვალოს ეს გარემოება, ეუწყოს ცენტრს, რომ ქალაქი და ოლქი განსაკუთრებულ სასურსათო მდგომარეობაშია, რისთვისაც აუცილებელი ხდება განსაკუთრებული ნაბიჯების გადადგმა, რომლის დროსაც გაიცემა გარანტია, რომ საერთო რესპუბლიკის სასურსათო საქმეს ამით ხელი ოდნავადაც არ შეეშლება. ისე მაგალითად შესყიდვის დროს კონკურენციას ადგილი არ ექნება, ამის წინააღმდეგი ვერ იქნება ცენტრი... მაგრამ ის რაც ზემოდ ვსთქვით კვირეების საქმეა, მხოლოდ ჩვენ ახლა უნდა მივიღოთ რეალური ზომები ამ დღეებში პურით უზრუნველყოფისთვის.

ყველაფერს უნდა მალე მივაღწევთ, ოღონდ კი ქალაქმა ცოტა წაიმუშაოს.

ბათომისთვის სასურსათო საქმის მოგვარება გაცილებით ადვილია ვიდრე სხვა ქალაქებისთვის, აქ ახლაც დიდძალი ფქვილია დაგროვილი და მათი მოხერხებულად შესყიდვის მეტი, ისე რომ პურის მომტანნი საგრძნობლად გულ ნატკენნი არ დარჩენ და ამით პურის მოტანაზე უარი არ სთქვან, ქალაქს არა უნდა რა პირველ დღეებში.

ვიმუშაოთ ამ საქმეზე ფხიზლად. პური—ყველაფერია ჩვენი პოლიტიკურ კეთილდღეობისთვის და ნუ დაგვჩემდება ფორმალიზმი და საქმის გადადებ-გადმოდება.

## ჩვენი მოვალეობა.

სოციალისტური დელეგაცია უკანვე გაემგზავრა. ის აქ გაეცნო საქართველოს დემოკრატიას მუშაობას, ასწონ-დასწონა მისი კარგი თუ ნაკლი მხარეები და დაშვებულ შეცდომებზე და ახლობელ მომავალში საკეთებელ საქმეებზე მიგვითითა. დელეგაციის წევრები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ ჩვენ იდეალური პოლიტიკური წყობილება გვაქვს, საუცხოვო კონსტიტუცია და კანონები გამოგვიმუშავებია, მაგრამ ჯერ ვერ გვიძლევია ეკონომიური საკითხი, ვერ ჩაგვიყრია მტკიცე საფუძველი, რაზედაც დემოკრატიის ბატონობა უნდა დაეყრდნოს.

დროებით, რევოლიუციონურ პროცესში, შეუძლია პოლიტიკურად იბატონოს რომელიმე საზოგადოებრივმა კლასმა, მაგრამ საბოლოოთ ის შეინარჩუნებს ამ ბატონობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეკონომიურადაც გაბატონდება.

# ბათომს.

და წარმიტაცებს ეგ ნარნარი ტურფა ბელნარი
მწვანით რომ არის მოკაზმული ტყე-ხეივნარი,
მზის სარეცელი, ცის გუმბათი, ალსავლის კარი,
სამოთხის მსგავსი მშვენიერი შეუსადარი...
ეს საქართველო, ტურფა მხარე, სამშობლო არი.

—

იმის კალთებზე აქარგული ოქროს სხივნარი
რა რიგ ციმციმებს ათას ფერად. სიცოცხლის ქარა
დაქრის მინდვრებზე, ლანავარდობს არ აქვს სათვარი...
ხან ღმუის ძლიერ, ხან სისინით ტკბილათ ვით ქნარი
ისე ბუტბუტებს ყვავილებში—სამშობლოს ქარი.

—

მიყვარს ზღვის პირი მოღუღუნე, ტკბილ-მოუბარი,
ქოჩორ აყრილი მისი თეთრი ბრძოლის ფაფარი.
კვლავ მოლივლივე ლურჯ ტალღებზე ფრთოსანთ პარპარი
ხან კი თვით ღელვა, ზღვის ღმერთების შავი ხარხარი,
მიყვარს ბათუმის ტურფა ველი, მისი მთა ბარი.

ივ. თაყაიშვილი.

1920 წ. 5 ოქტ.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციაში მესამე წოდების იდეოლოგმა აბატმა სიიესმა ასე დაახასიათა ამ წოდების პროგრამა და მიზანი:

რა არის მესამე წოდება?—ეკონომიურად ის ყველაფერია. რა სურს მესამე წოდებას?—იყოს ყველაფერი პოლიტიკურადაც.

ასევე შეუძლია, მხოლოდ ცოტაოდენის ცვლილებით, განიმეოროს ქართველმა დემოკრატიამ.

საქართველოში დემოკრატია ყველაფერია პოლიტიკურად, ის უნდა გახდეს ყველაფერი ეკონომიურადაც.

სამწუხაროთ ამ მხრივ, დემოკრატიის ეკონომიურად გასაბატონებლათ, ძლიერ ცოტა გავაკეთეთ, მიზეზი ამისა არის რასაკვირველია ის, რომ მესამე წელიწადია ხან ერთსა და ხან მეორე „ფრონტზე გვიხდება ბრძოლა რევოლიუციონურ მონაპოვართა და ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად, მაგრამ ამის გარეშეც, უმთავრესი მიზეზი ამ დარგში ნაკლები წარმატებისა არის ჩვენი სიზარმაცე, ქართველური დაუდევრობა.

ჩვენ არ ვაფასებთ ენერგიას, უსაფუძვლოთ დახარჯულ დროს, ბევრს ვლაპარაკობთ და ცოტას ვაკეთებთ, ვყარაჩოღლობთ, როცა ჯიბეში თავვები დავლურს უვლიან და გაჭირვების ჟამსაც ღიმი არ გვცილდება სახეზე. შეიძლება ყველა ამაში ცოტაოდენი დადებითი მხარე იყოს, ოპტიმისტი, იმედ - გაუწყვეტელი ხალხი ვართ, მაგრამ ვერ უარვყოფთ რომ ყველაფერი ეს ძლიერ გვიშლის ხელს ნაყოფიერ შემოქმედებითი მუშაობის დაწყებაში.

ჩვეულებრივი გულღიობით ჩვენ უწინაც ვამჩნევდით ჩვენ სუსტ მხარეებს, მაგრამ არასოდეს ასე მწვავეთ და საშინლათ არ განგვიცდია ჩვენივე დაუდევრობის გამო ხვალინდელი დღის შიში.

თითქოს ახლა აგვეხილა თვალები და დავინახეთ ჩვენი უსაქმურობა და დაუდევრობა, წარსული ყოფა, რომელიც ჩვენ ზნე-ჩვეულებათ, გაწყურელ რამეთ გადაიქცა და ამიტომ ვერ ვგრძნობდით თუ რაოდენ ზარალს აყენებდა ის ჩვენს კეთილდღეობას და მაშასადამე რესპუბლიკასაც. ევროპიელების მითითებამ და მათმა რჩევა-დარიგებამ სიმახინჯეთ აქცია ყველაფერი ის, რასაც ჩვენ შევეჩვიეთ და ჩვეულებრივ მოვლენათ ვთვლიდით.

ევროპიელებმა გვითხრა, რომ ჩვენ მეტი შრომა, მეტი საქმიანობა გვჭირია, რომ შევქმნათ მომავალი წყობილებისათვის საჭირო სიმდიდრე, შევქმნათ საკმაო ღირებულებანი, რომ ფულის საბეჭდი მანქანის მუდმივი მუშაობა შევაჩეროთ და ჩვენი ეკონომიური ყოფა გავაჯანსაღოთ.

ევროპიელი ამხანაგები დახმარებას დაგვპირდენ, მაგრამ მოგვთხოვენ, რომ ჩვენც ვიშრომოთ, ვინაიდან ევროპის მუშათა კლასი გამოგზავნილ თავის შრომის ნაყოფში სამაგიეროს მოგვთხოვს.

ევროპის მუშათა კლასი შრომობს, ვინაიდან მხოლოდ ინტენსიური შრომით იქნება ძლიერი მომავალი წყობილება და ჩვენც თუ გვსურს ევროპის მუშათა კლასის გვერდით, ხელიხელ ჩაკიდებული სვლა, უნდა გაუთანასწორდეთ მათ შრომაში, მით უფრო რომ ჩვენი მცირეოდენი წარმოების 80 პროცენტი ჩვენსავე ხელშია, ევროპაში კი კაპიტალისტების.

საქართველოს მუშათა კლასმა უნდა გაასკეცოს თავისი მუშაობა, ჩვენ უნდა შევქმნათ მაქსიმუმი იმისა, რაც გვჭირია. ამას გვიკარნახებს როგორც მომავლის ისე სწორათ გაგებული სახელმწიფო ინტერესები.

მარტო იდეალური პოლიტიკური წყობილება და კონსტიტუცია როდია საკმაო, იმით მაძღარი ვერ ვიქნებით. საჭირო ეკონომიკაშიც იმდენადვე მიღწევა. როგორც პოლიტიკაში, თორემ რაც დღემდე ვაკეთეთ ქვიშაზე იქნება აშენებული.

ევროპიელ სტუმრებს სიცილი მოუვიდათ, როცა ქართლ-კახეთში ჩვენ მეურნეობა ინახულეს, მათ სასაცილოდ არ ეყოთ ჩვენი მამა-პაპური მეურნეობის წესები და ევროპიული პრაქტიკების თვალით დააფასეს თუ რამდენი ენერგია და შრომა იხარჯება უნაყოფოდ, იქ სადაც გაუმჯობესებული წესით საკმაო იქნებოდა იმის მეოცედი ენერგიის და შრომის დახარჯვა ვიდრე დღეს ვხარჯავთ.

საქართველო უმთავრესად მეურნეობის ქვეყანაა და უმთავრესად მეურნეობას უნდა მიექცეს ყურადღება. ჩვენში ერთ დესეტინა მიწაზე მოდის იმის მეოთხედი რაც გერმანიაში-მოჰყავთ, გერმანელს ერთი დესეტინა მიწის დამუშავებაში ეხარჯება იმის მეათედი შრომა, ვიდრე ქართველი გლეხი ხარჯავს.

ჩვენ საკმაო მიწები მოგვეპოვება, რომ ჩვენი [illegible]საკვები სიმინდი და პური მოვიყვანოთ. მაგრამ ჩვეულებრივი დაუდევრობის და მამა-პაპური წესების გამო, ვერ მოგვყავს და მუდამ იმის შემყურე ვართ, რომ მთავრობამ იშოვნოს და გვაჭამოს.

ზოგიერთები სადემაგოგიოთაც კი იყენებენ ამას:

ნიკოლოზის დროს პური მაინც იყოო, თითქოს ვინმე მოვალე იყოს, როცა ჩვენ ვზარმაცობთ, ჩვენზე იზრუნოს, ლუკმა პირში ჩაგვიდგას.

დღემდეს თუ ეჭვი გვეპარებოდა, რომ ჩვენ საკმაო საშვალება მოგვეპოვება ჩვენთვის საჭირო საგნები და სურსათ სანოვაგე დავამზადოთ, ევროპიელებმა საკმაო კატეგორიულათ მიგვითითეს, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია.

საჭიროა მთელი საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ყურად იღონ ევროპიელ ამხანაგების დარიგება. მართალია ჩვენ გაჭირვებულები ვართ, მაგრამ თუ ბელგიის მშრომელმა ხალხმა ჰოახერხა ომის მიერ სრულიად განადგურებული ბელგიის მკვდრეთით აღდგენა, რათ არ შეგვიძლია ჩვენ მოვაროთ და უკეთ მოვაწყოთ ის, რაც ომის ქარიშხალს გადაურჩა.

ვიშრომოთ!

აი ეს ძახილი უნდა მოედვას მთელ საქართველოს კიდითი კიდე.

მხოლოდ შრომით ვიქნებით ჩვენ ძლიერი, თორემ ეკონომიურად უსუსურები, ევროპიელი იმპერიალისტების და კაპიტალისტების მადაახსნილობის ობიექტი შევიქნებითდა მათ კლანჭებში ჩავვარდებით.

მთელი საქართველო უნდა ამოძრავდეს შრომისათვის, ქალაქის მუშამ თავისი შრომა უნდა გააძლიეროს, ჩვენი გლეხობა მეურნეობის მამა-პაპურ წესებიდან განვითარებულ წესებზე უნდა გადავიდეს.

სოფლებში უნდა მოეწყოს გლეხთა კავშირები, რომლებმაც მიზნათ უნდა დაისახონ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა და საერთოდ მეურნეობაზე ზრუნვა.

შრომა—აი დღიური ლოზუნგი.

და მთელი დემოკრატია უნდა გამოეხმაუროს ამ ლოზუნს, ისე როგორც რევოლიუციონურ და განსაცდელის ხანაში ეხმურებოდა თავის ხელმძღვანელთა ძახილს.

ჩვენ უნდა გავამართლოთ ის იმედები, რომლებსაც ჩვენზე ევროპიელი სოციალისტები ამყარებენ

შ—ძი.

## სადღეისო შენიშვნები.

გულუბრყვილობა თუ თავის მოტყუება?

ჩვენ გაზეთში მრავალჯერ შევჩერებულვართ ევროპის მუშათა კლასის მოძრაობის სხვა და სხვა მომენტებზე და აღგვინიშნავს მისი ნამდვილი შინაარსი და ხასიათი. ჩვენი დასკვნა, და საერთოდ ყველა ობიექტიური ადამიანის დასკვნა ამ მოძრაობიდან სხვა და სხვა ფაქტების განხილვის შემდეგ ისეთია, რომ მას კომუნისტურ ბრძოლის მეთოდებთან არავითარი საერთო არა აქვს. ეს გამომდინარეობს არა მარტო ფაქტებიდან, არამედ ამაზე ლაპარაკობენ ევროპის მუშათა კლასის ხელმძღვანელები, რომელთაც კომუნისტები „კონტრ-რევოლიუციონერებათ“ და „მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველებათ“ ნათლავენ, მაგრამ რომელთაც ევროპის მუშათა კლასი სცნობს და უჯერის, ამაზე ლაპარაკობენ რეზოლიუციები სხვა და სხვა კონგრესების, ამაზე ლაპარაკობს კომუნისტური პარტია იმ ქვეყნისა, რომელიც ყველა მეშმარიტ (არა აზიელ) სოციალისტისათვის უნდა გახდეს მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის მედროშეთ.

მიუხედავათ იმისა, რომ ფაქტიურად ბოლშევიკებმა დიდი ხანია დაკარგეს რწმენა ევროპის მუშათა კლასის მოსკოვის კომუნიზმის ავანტიურაში ჩათრევის და უფრო „საიმედო“ საშვალე[illegible] [illegible] მიმართეს თავის გადასარჩენად და მსოფლიო [illegible] სიტყვებით მაინც ვითომ ევროპისკენ იცქირებიან და იქიდან ელიან ხსნას, კომუნისტური პრესა და მოსკოველი მმართველები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ევროპას და ეძებენ თავისთვის სასარგებლო სიმპტომებს. მილას რაც აგონდებოდა —ის ესიზმრებოდაო, ნათქვამია და გასაკვირი არ არის, რომ კომუნისტებს, რომლებიც ევროპაში კომუნისტური ცეცხლის დანთების ლოდინში არიან მუდამ, კომუნისტური გამოსვლები ელანდებოდეს ყოველგან და თვით თავისთავად უბრალო ფაქტი, ინგლისელ ლიბერალებისათვისაც მისაღები, მუშების მიერ რუსეთის საქმეებში არ ჩარევის მოთხოვნა, კომუნიზმის პირველ მერცხლებად მიაჩნდეთ.

ამას წინათ წარმოთქმულ სიტყვაში ლენინმა ის აზრი გაატარა, რომ ევროპის მუშათა კლასი სდგება კომუნისტურ გზაზე.

ამასვე იმეორებს გაზ. „პრავდაც“ № 200-ში:*)

„ეს ბრძოლა, რომელიც დღითი დღე თვალსაჩინო ხდება, ნათლათ ამტკიცებს, რომ რუსეთის რევოლიუციის და მთელ მსოფლიო პროლეტარიატის შორის მაგრდება კავშირი, საბჭოთა რუსეთი მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მებაირაღტრედ ხდება.“

აქ რამდენი სიტყვაა, იმდენი ჩვეულებრივი კომუნისტური ტრაბახია. ვის არ გაეცინება მწარედ ამ სიტყვების წაკითხვაზე.

ქვეყანა, სადაც წარმოება 60—70 პროცენტით შემცირდა, სადაც სოვნარკომის წევრი (ტროცკი) აცხადებს, რომ მოსალოდნელია ტრანსპორტის მოშლის გამო მიმოსვლა რკინის გზებზე სრულიად შეჩერდეს, სადაც ჩინოვნიკობა მეტი არის ვიდრე პროლეტარიატი, სადაც მუშების $^{2}/_{3}$ ნაწილი წითელ-არმიაში ეწერება, რომ სიმშილით არ მოკვდეს, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის მებაირაღტრეობას ჩემულობს!

მარქსი და ენგელსი ფიქრობდა, რომ სოციალისტური რევოლიუცია შედეგი იქნება საწარმოო ძალთა უაღრესათ განვითარების და კაპიტალის კონცენტრაციისო, ბოლშევიკებმა ობიექტიურ პირობებს ინტელიგენტთა მცირე ჯგუფის სურვილები დაუპირდაპირეს, სუბიექტიურ პირობების მაგივრად ოთხი წლის ომით დაღლილ-დაქანცულ ჯარების ანარქისტული სულისკვეთებას დაეყრდნენ და სამოქალაქო ომის აბობოქრებული ზღვით მიაქანებიან სოციალისტურ ნაპირებისკენ.

რუსეთმა ისიც დაკარგა, რაც დღემდე ქონდა, სრულიად გაიძარცვა და დღეს უფსკრულის წინაშე სდგას.

განა შეუძლია ასეთ ქვეყანას პროლეტარული რევოლიუციის მებაირაღტრეობა იკისროს?

რუსეთის წითელი ლაშქარს ძარცვა-გლეჯა ინტერესებს, ძველი იმპერატორების დაქირავებულ რაზმელებსავით ნადავლს ეძებენ და სძარცვავენ დაპყრობილ ადგილებს.

განა შეუძლია ასეთ ლაშქარს შეასრულოს ისეთი როლი მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციაში, რომელიც ოდესღაც საფრანგეთის რევოლიუციონერმა ჯარმა ითამაშა?

მე ვნახე ინგლისური ჟურნალი სადაც მოთავსებულია გერმანიაში გაქცეულ წითელ არმიელების სურა-

*) ამონაწერი მომყავს გაზ. „ახალი კომუნისტიდან.“ გ. წ—ძე.